საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

მე-3 თავით გათვალისწინებული - ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, მოთხოვნების

შესრულების თაობაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2025 წლის განმავლობაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ:

ა) 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა 8 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ყველა განცხადებაზე მოხდა შესაბამისი რეაგირება და განმცხადებელს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 40-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ეცნობა წერილობითი პასუხი.

ასევე, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ არცერთი განაცხადი შემოსულა. შესაბამისად, მოთხოვნაზე უარის შემთხვევებიც არ ფიქსირდება.

ბ) შემოსული განცხადებებიდან, ყველა მათგანი დაკმაყოფილდა და გაიცა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, მოთხოვნაზე უარის შემთხვევები არ ფიქსირდება.

საანგარიშო პერიოდში, კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომები დახურულად არ გამოუცხადებია.

გ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საჯარო მონაცემთა ბაზები, საანგარიშო პერიოდში, არ არის წარმოებული.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გამოიცა 106 განკარგულება, სადაც მოხდა პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა. აღნიშნული განკარგულებები შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოებასა და საკრებულოს წევრების პერსონალურ მონაცემებს.

დ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ, ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის არცერთი ფაქტი გამოვლენილა. შესაბამისად, არც პასუხისმგებელი პირების დისციპლინური სახდელის დადების ფაქტები არსებობს.

ე) გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საჯარო ინფორმაციის გაცემისას/უარის თქმისას ან სხდომების დახურულად გამოცხადებისას ხელმძღვანელობს, შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

“საქართველოს კონსტიტუცია”;

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი.

ვ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები არ ფიქსირდება. შესაბამისად, არც გასაჩივრების ფაქტები არსებობს.

ზ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთხვევები არ ფიქსირდება.

Mikheil Gedekhauri 12002001653

Digitally signed by Mikheil Gedekhauri
Date: 2025.12.10 11:01:51